ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N1

ქ. ზუგდიდი **13 იანვარი 2023 წელი**

2023 წლის 13 იანვარს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- მაია გაწერელია.

სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ჩანგელია, მერაბ ჭაჭუა, პაატა ადამია, ხათუნა შამუგია, დავით ფიფია, ნანა ხუფაცარია, თამუნა ჯიქია, ნატალია შეროზია, ირუზა კაკავა, კონსტანტინე უბერი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა, გიორგი ფიფია, მირანდა ესებუა, ეკატერინე კიფაია, ედიტა კოდუა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი ნინო სხულუხია, მერიის სოციალურ და გენდერულ საკითხთა განყოფილების უფროსი გოგი რევია, მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი - ია ეხვაია.

სხდომას მდივნობდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა კეიდია.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია. სხდომას 16 წევრიდან ესწრებოდა 11 წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ მაია გაწერელიამ კომისიის წევრებს სხდომის გააცნო

დღის წესრიგი:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: მაია გაწერელია - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

თანამომხსენებელი: ნინო სხულუხია -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი.

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: მაია გაწერელია - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

თანამომხსენებელი: ნინო სხულუხია -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს დღის წესრიგს. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალიწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მაია გაწერელიას ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 11 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა მომართვა (რეგ. N12-252301117; 11.01.2023; N 24-242311114), რომლითაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე".

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს ნინო სხულუხიას მოეხსენებინა იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც დადგენილების პროექტშია.

ნინო სხულუხიამ განმარტა, რომ საკრებულოს რეკომენდაციების გათვალისწინებით დადგენილების პროექტში ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის წესის დამტკიცების თაობაზე შემდეგი ცვლილებებია:

- სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი (შშმ, სსმ, დანაშაულის ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, ზრუნვის სისტემიდან გასული, უსახლკარო ან/და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე, სოციალურად დაუცველი, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე და სხვა) ბავშვებისთვის ყოველთვიურად ფულადი დახმარება 50 ლარამდე გაიზარდა თითო ბავშვისათვის.
- სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის aqua-თერაპიასა და გამაჯანსაღებელ კომპონენტს დაემატა საგანმანათლებლო კომპონენტი, რაც ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ინგლისური ენის შემსწავლელი წრის დაფინანსებას. მომწოდებლის შერჩევა მოხდება შესყიდვის წესით.

აზრი გამოთქვა: მაია გაწერელიამ იკითხა, ხომ არ ჯობდა ენის შერჩევასთან დაკავშირებით არჩევანის თავისუფლება დაგვეტოვებინა, რაზეც ია ეხვამიამ უპასუხა: თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ენის შერჩევა მიგვენდო მშობლებისათვის, ბავშვებისათვის, მაგრამ ტენდერთან დაკავშირებით შეიქმნა პრობლემები. აღმოჩნდა, რომ თითოეულ ენაზე უნდა გამოცხადებულიყო ცალკე ტენდერი. ამიტომ, შესაძლოა, პროცედურები უსასრულოდ გაწელილიყო. ამ ეტაპისათვის არჩევანი შეჩერდა ინგლისურ ენაზე, როგორც ყველაზე მოთხოვნადზე. მომავაში თუ მოთხოვნა სხვა ენებზეც გაჩნდება, მერია მზადაა სხვა ენებზეც ტენდერის გამოსაცხადებლად.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი - დადგენილების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" დააყენა კენჭისყრაზე. (მომხრე 11. წინააღმდეგი-0);

გადაწყვიტეს: დასკვნა დადგენილების პროექტზე - „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალიწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მაია გაწერელიას ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 11 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა მომართვა (რეგ. N12-252301117; 11.01.2023; N 24-242311114), რომლითაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ სააკითხთა სამსახურის უფროსს ნინო სხულუხიას მოეხსენებინა დადგენილების პროექტში არსებული ცვლილებების შესახებ.

ნინო სხულუხიამ განმარტა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას სოციალური მიმართულებით აქვს მომსახურებები, რომლებსაც არ სჭირდებათ კომისიური განხილვა, მაგრამ არის რიგი საკითხები, რომელიც ექვემდებარება კომისიურ განხილვას. ვინაიდან რამდენიმე პროგრამაში არის ცვლილება, მოქალაქეების ინტერესებისან გამომდინარე, მიზანშეწონილია რაც შეიძლება მალე შევიდეს ახალი დადგენილება ძალაში. კონკრეტულად ეს ცვლილებები ეხება:

- ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა გაორმაგდა და განისაზღვრა 200 ლარით.
- უფასო სასადილოს მომსახურებას მიიღებს დამატებით 20 ბენეფიციარი.
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისათვის ტრანსპორტირების თანხა გაიზარდა და განისაზღვრა 100, 150, 200 ლარით სერვისის მიწოდების ადგილამდე მანძილის მიხედვით.

კომისიის თავმჯომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი - „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ დააყენა კენჭისყრაზე. (მომხრე 11, მოწინააღმდეგე- 0);

გადაწყვიტეს: დასკვნა დადგენილების პროექტზე „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა. სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაია გაწერელია: